

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზიკური კულტურის, სპორტის, სპორტის მოწოდებისა და პროფკავშირითა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов
ბაზოცემის 80-8 წელი

№ 17 (512) ოთხშაბათი, 27 თებერვალი, 1952 წ. ფასი 80 კპ.

სპორტულ ზაფხულს — კეთილდღეობიანი ბაზები!

ოთხი დღე შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების სტადიონებსა და მოედნებზე სადღესასწაულო ვითარებაში აღიმართება 1952 წლის საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნის აღაზი.

მწვენი მინდვრებსა და მოედნებზე, სარბენ ბილიებსა და სახტომ ორბობებთან, კორტებსა და ველოტრეკებზე გამოვლენ ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომლებიც შეუპოვარ ასპარეზობაში პირველ გამარჯვებებს ჩასწვრივ მიმდინარე წლის სპორტული ზაფხულის ცხრილებში.

საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე მდებარე საპასუხისმგებლო ამოცანებია დასახული, ამ დიდი და მნიშვნელოვანი მოსამზადებელი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ უბანს სპორტული ბაზების კეთილმოწყობა წარმოადგენს.

საკოვლოდ ცნობილია სპორტული ბაზის როლი და მნიშვნელობა მთელ ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობაში. სპორტული ბაზის ხარისხზე, კეთილმოწყობაზე, მის აღჭურვაზე სათანადო მალაქარის სიღრმის ინვენტარით უშუალოდ დამოკიდებული სპორტსმენთა დახელოვნება, მათი ოსტატობის შემდგომი ზრდა, ბრძოლა ჩემპიონის წილთა მისუარისათვის, რეკორდების დაპყრობა.

გარდა ამისა, სპორტულ ნაგებობათა რაოდენობაზე დიდად არის დამოკიდებული ბრძოლა ფიზიკური კულტურის მასობრივობისათვის, ფიზკულტურისა და სპორტის მისახლეობის ახალი ფენების ჩამოსათვის. ამიტომ არის, რომ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ჩვენს ქვეყანაში პირველხარისხის სპორტული ბაზების მშენებლობას. საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე ყოველწლიურად შენდება ახალი შესანიშნავი სტადიონები და სპორტული დარბაზები, თსლამურებით სახტომ ტრამპლინები და წყალგამართვის სადგურები, ჩოგბურთის კორტები და სხვადასხვა მოედნები...

სპორტული ნაგებობათა ფართო ქსელი აქვს ჩვენს რესპუბლიკასაც. სწორედ ამის შედეგად გადაიქცა ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ მოწინავედ სპორტის დარგში. ქართველი ფიზკულტურელები და კალათბურთელები, მძლეოსნები და ტანმოვარჯიშეები, ფრენბურთელები, ველომარბიელები, მოკუთარეები და სხვები თავიანთი სპორტულ ბაზებზე სისტემატურ სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის შედეგად იმდენად ოსტატობას, შეუწყნებ-

ლად მიდიან წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა მოახლოებული საზაფხულო სეზონისათვის ბაზების მომზადების მხრივ დავლსაჩინო მუშაობა გასწიეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რესპუბლიკის დედაქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციის ნაყოფიერი საქმიანობა. თბილისის ყველა ძირითადი სპორტული ბაზა ყოველმხრივ მომზადებული ხვდება 2 მარტს — რესპუბლიკის 1952 წლის სპორტული ზაფხულის პირველ დღეს.

სწორედ ბაზების კარგა მდგომარეობამ მისცა შესაძლებლობა თბილისის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტს გასულ კვირას გაემართა დიდი სპორტული დღე, რომელშიც მონაწილეობდნენ მძლეოსნები, ფეხბურთელები, ჩოგბურთელები, კალათბურთელები და სხვ.

კარგად მოამზადა სპორტული ბაზები სტალინის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ფიზკულტურის კომიტეტი, მათ შორის სტალინისა, იგივეს ძირეულ კოლექტივების სპორტულ ბაზებს და მთელი ყურადღება ვადაქვს მთავარ ნაგებობების რემონტზე, კეთილმოწყობაზე.

ასეთი არასწორი პრაქტიკის გამო სტალინის მთელი რიგი საშუალო სკოლების, ზოგიერთი ინარტული ტექნიკუმის მოედნები ძალზე სავალალოდ გამოიყურება.

ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ბათუმში, ბორჯომის, სამტრედიის, ახმეტისა და სხვა რაიონებში.

სპორტული ბაზების რემონტისა და კეთილმოწყობის დროს არ უნდა დავივიწყოთ მყურებელი, რომელიც სეზონის პირველსავე დღეს ააქვს სტალინისა თუ მოედნის ტრაბუნებს. აქედანვე უნდა გივრუნოთ მყურებელთა კულტურული მომსახურებისათვის.

ეს არ არის პატარა მნიშვნელობის საქმე, რადგან ფიზკულტურისა და სპორტის ქმედით აგტაცია ფართო მასებს შორის უმთავრესად სპორტულ ბაზებზე წარმოებს.

ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლის საქმეში არანაკლები როლი ენიჭებათ ძირეული კოლექტივების მარტივ სპორტბაზებს.

სპორტულ ზაფხულს — კეთილმოწყობილი ბაზები! ასეთი ამოცანა დასახული ჩვენს წინაშე და იგი წარმატებით უნდა გადავჭრათ.

პიკანელი მოგონებები თბილისში

24 თებერვალს მოეწყო თბილისის ავტო-მოტომარბიელთა გადარბენა მარშრუტით თბილისი-რუსთავი-თბილისი. დღის 2 საათზე 40 მოტოციკლი და 15 ავტომანქანა უკვე რუსთავში იყო.

ერთ მწკრივად განლაგებული თბილისელი სპორტსმენები მეგობრულად დახვდნენ ერევნელ მოტომარბიელებს, რომელთაც თავისი გადარბენა ერევანი — თბილისი — ერევანი მიუძღვნეს საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავს და საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავს.

აბსოლუტური საუკეთესო დრო უჩვენა ე. კალქალაძემ, დიდი ინტერესი გამოიწვია. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდნენ „დინამოს“ მოტომარბიელები.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მოტომარბიელი — სტუმრები და მასპინძლები — ორ კოლონად, ერთმანეთის მხარდასაზარ გამოეშურნენ თბილისისაკენ.

ბერიას სახელობის მოედანზე დედაქალაქის სპორტსმენებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს მოძვე რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

პიკანელი მოგონებები

გასულ კვირას დილიდანვე შესანიშნავი მზიანი ამინდი გამოვიდა. ზამთრის განმავლობაში, მტკიცეს მოწყურებულმა ფეხბურთის მოყვარულებმა „დინამოს“ სტადიონის საფარჯიშო მოედნის ტრიბუნებს მიაშურეს. სრულ 12 საათზე მინდორზე მწყობრივ ნაბიჯით შემოვიდნენ თბილისის ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდები — სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ასპარეზობის მონაწილენი. ფეხბურთელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელმა ამს. ვ. კინკაძემ.


1952 წლის პირველ ოფიციალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ 26 კომისრის რაიონისა და ზოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდები. თამაშს დამთავრდა გამოცდილი ფეხბურთელების — 26 კომისრის რაიონის გუნდის გამარჯვებით — 6:2.

ამ დროს სტადიონის მძლეოსნურ სექტორებზე, სარბენ ბილიკზე ზაფხულის სეზონი გახსნეს მძლეოსნებმა — საქალაქო შეჯიბრების მონაწილეებმა.

ქალთა გარბენი 100 მეტრზე. ფინიშისაკენ მიჰქრის ნადინი ფიგურა. აი, ფინიშის თეთრი ზონარით მკერდზე, სპორტსმენი ანელებს რბენას, ნაბიჯზე ვადადის... ეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და რეკორდსმენი ნადედა ხნივანია.

ვაეთა შორის 100 მეტრზე რბენაში გამარჯვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრიმა მურაყან გეგეშიძემ — 11,4. მანვე მოიპოვა პირველი ადგილი ბირთვის კვარში (12,35 მეტრი).

ამ დღეს შედგა შეჯიბრებები ჩოგბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში და სხვ.



მოგზაობა უკვე სპორტულ ზაფხულს!

პიკანელი მოგონების ნაყოფი

უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისის სპორტსმენები მკისი-მალურად იყენებენ შესანიშნავ კლიმატურ პირობებს და ზამთრის მეტ წილს ღია ცის ქვეშ მეცადინეობაში ატარებენ. ხელსაყრელმა ამინდმა შექმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ ზაფხულის სპორტული სეზონი ჩვენში გაიხსნას გაცილებით ადრე, ვიდრე სხვა მოძვე რესპუბლიკებში.

წელს ზაფხულის სპორტული სეზონი საქართველოში იწყება 2 მარტს. სეზონის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებების და საერთოდ, კალენდრით გათვალისწინებული შეჯიბრებების მაღალ დონეზე მოწყობა დიდადა დამოკიდებული ზაფხულის სპორტული ბაზების მზადყოფნაზე, მათ კეთილმოწყობაზე.

კარგად მოემზადა ახალი სეზონისათვის თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონი. აქ დროულად იქნა წესრიგში მოყვანილი ორივე საფეხბურთო მოედანი და მძლეოსნური სექტორები. რესპუბლიკის დედაქალაქში საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნის დღეს — 24 თებერვალს „დინამოს“ სტადიონზე მძლეოსნებსა და ფეხბურთელებს ყველაფერი მზად დახვდათ ასპარეზობისათვის.

მომზადებული ხვდება ახალ სეზონს

თბილისის მაულ-კამელოს ფაბრიკის სტადიონი. ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, საჭი-ლაო წრე, სარბენი ბილიკი წესრიგშია მოყვანილი. მხოლოდ გასახდელ ოთახებშია სივიწროვე. კარგი იქნება თუ ფაბრიკის ხელმძღვანელობა უფრო გააფართოებს და უკეთ მოაწყობს მას.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტთან არსებულმა სპორტნაგებობათა სამმართველომ დროულად მიიღო ყველა საჭირო ზომა საზაფხულო სპორტული ბაზების ახალი სეზონისათვის მალაქარის სიღრმად და თავის დროზე მომზადებისათვის.

ლ. პ. ბერიას სახელობის ველო-სტადიონზე მთელი ზამთრის განმავლობაში მიმდინარეობდა ქალაქის კელომარბიელთა წვრთნა. ტრეკი ძირითადად მზად არის სეზონისათვის.

სრულ წესრიგშია კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები კიროვის სახელობის პარკში, ჩოგბურთის კორტები მარჯანიშვილის ქუჩაზე და სტალინის სახელობის სანაპიროზე მდებარე ჩოგბურთის სტადიონი.

ამრიგად, ქალაქის ძირითადი სპორტული ბაზები მომზადებული ხვდებიან ზაფხულის სეზონს.

მოედანი შენდება... 5 წლის განმავლობაში

სურამი. რამდენიმე წლის წინ სურამის ფიზკულტურელებს ჰქონდათ სპორტული მოედანი, რომელიც ძალზე პატარა იყო. მოედნის გაფართოებისა და წესრიგში მოყვანის მიზნით სურამის საკურორტო სამმართველომ ხუთი წლის წინ დაიწყო მშენებლობა — მოედნის ირგვლივ აიგო

კედელი, გადაიხსნა გრუნტი და სხვ. მაგრამ სამუშაოების წარმოება ამაზე შეწყდა და მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

საინტერესოა, რატომ არ ამთავრებს დაწყებულ სამუშაოს საკურორტო სამმართველო?

შ. ჯოგაძე

ქალაქების მატჩი

სუზუმი. (ტელეფონი ჩვენი სხე. კორ.)

24 თებერვალს სუზუმის მოზარდთა სპორტკლბის დარბაზში (აიწყო საქართველოს ქალაქების ტრადიციული მატჩი ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, სუზუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის ვაეთა გუნდები და თბილისის, სუზუმის, ბათუმის ქალთა კოლექტივები. გასულ წელს გამარჯვებულმა ბათუმის ქალთა და ვაეთა კოლექტივებმა აღმართეს შეჯიბრების აღაში (თბილისელები შარშან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კონკურსს გარეშე).

შეჯიბრება დაიწყო ბათუმისა და სუზუმის ქალთა გუნდების შეხვედრით. გამარჯვებს სუზუმელებმა ანგარიშით 3:0 (15:10 15:11 16:14).

მეტად საინტერესო, დაძაბულ ბრძოლით აღინიშნა რუსთავისა და ფოთის ვაეთა გუნდების თამაში. პირველი პარტია მიმდინარეობდა ფოთის ფრენბურთელთა უპირატესობით და დამთავრდა მათი გამარჯვებით — 15:11. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლოლუა და კოვლიოვი. მაგრამ რუსთავის ახალგაზრდა კოლექტივმა, რომელიც წელს პირველად მონაწილეობს შეჯიბრებაში, შეძლო თამაში გარდატეხის შეტანა. სერგიენ-

ფრენბურთის გადმართა

კოს, მათუაშვილის, ჩერნიშოვის ენერგიული თამაშის შედეგად რუსთავის გუნდმა ზედზედ მოიგო სამი პარტია (1ა:7, 15:12, 15:8) და მასთან ერთად შეხვედრა — 3:1.

სუსტად მომზადებული გუნდი გამოიყვანა შეჯიბრებაზე ქუთაისმა. სუსტოვან გამართულ შეხვედრაში ქუთაისელებმა ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიება, ხშირად ისინი ვერ იღებდნენ ძლიერ მოწოდებებსაც. სუზუმის ვაეთა გუნდმა მოიპოვა იოლი გამარჯვება 3:0 (15:4, 15:3, 15:7).

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა თბილისისა და ბათუმის ვაეთა კოლექტივების შეხვედრა. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: თბილისი — თ. ყიფიანი, პ. კალევი, კ. სპეშენკო, ე. რომანიანი, ს. ტარახინი, მ. ეგიაზაროვი; ბათუმი — ა. უუკოვი, ვ. გუსევი, ი. დოლიძე, მ. გაბრიჩიძე, ფ. ბოლბულენკისი, ვ. პოლონსკი. მძაფრი ბრძოლით აღინიშნა პირველი პარტია. ანგარიში წაიყვანეს ბათუმელებმა — 3:0. შემდგომში თბილისელები აძლიერებენ შეტევას და მალე ან-

გარიში მათ სასარგებლოდა — 5:3. ბათუმელებმა შეძლეს 2 ქულის მოგება, მაგრამ თბილისელები კვლავ წინ გადიან — 8:5. შემდგომში ყიფიანი და კალევი ენერგიული თამაშით ზედზედ მძაბუნ ქულებს თამაშს უწვდის. პირველი პარტიის საბოლოო ანგარიშია 15:8 თბილისის სასარგებლოდ. დაძაბულად ჩატარდა მეორე პარტია, თანაბარ ბრძოლაში გამომარჯვებს თბილისელებმა — 15:11.

კიდევ უფრო საინტერესო იყო მესამე პარტია, სადაც ანგარიში იყო 13:8 ბათუმის სასარგებლოდ, მაგრამ თბილისელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და მოიგეს ეს პარტია ანგარიშით 15:13. ბათუმელთა გუნდიდან აღსანიშნავია პოლონსკისა და დოლიძის კარგი თამაში.

ასპარეზობის მეორე დღეს, 25 თებერვალს, თბილისის ქალთა გუნდმა ანგარიშით 3:0 (15:12, 15:13, 15:4) დაამარცხა ბათუმის კოლექტივი. ვაეთა შეხვედრები ასეთი შედეგებით აღინიშნა: თბილისი — ქუთაისი 3:0 (15:3, 15:4, 15:1), სუზუმი — რუსთავი 3:0 (15:3, 15:6, 15:3), ბათუმი — ფოთი 3:0 (15:9, 15:7, 21:19).

შეჯიბრება გრძელდება.
6. გუზუშვილი

სპორტული განვითარების

ფურცლებზე

პედაგოგიური სპორტ

გაუპასუხებლად სასარგებლო ნაშრომები

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა ემყარება ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ფართო თვითმოქმედებისა და აქტივობის პრინციპებს. ფიზკულტურულად, სპორტსმენთა, მწვერულელთა, სტადიონების მუშაკთა და სხვ. ყოველი ახალი წამოწყება, მათი ინიციატივა ხელს უწყობს იმ დიდი ამოცანების შესრულებას, რომლებიც დაუსახებლად პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას.

ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ფართო ადგილს უთმობს თავის ფურცლებზე უკრაინის რესპუბლიკური სპორტული გაზეთი „რადიანსკი სპორტი“ („საბჭოთა სპორტი“). ამ დღეებში გაზეთმა მოათავსა გვერდი საერთო სათაურით „ყოველმხრივ ხელი შეუწყობს და გაავრცელოს მოწინავეთა სახარებლო წამოწყებანი“. გაზეთი მოუთხოვს მკითხველებს ფიზკულტურებისა და სპორტსმენების, მწვერულელთა, სტადიონების მუშაკების, სპორტული ინვენტარის დამამუშავებელი საწარმოების სტახანოველების სახარებლო ინიციატივისა და ნოვატორული ძიებების შესახებ.

კორესპონდენციაში „სპორტული აკტივიზმი“ აღწერილია მრავლობის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის გამოცდილება სპორტის პროპაგანდასა და აკტივობის დარგში. რაიონულ კომიტეტთან ჩამოყალიბებულია მუდმივი კავშირი სპორტული აკტივიზმის, რომელიც შედის ტანმშრომლობის, რაიონის მოწინავე ტანმშრომლობის, მოთხილამურების, მოციგურების, აკტივიზმის სისტემატურად აწარმოებს სპორტულ გამოხვედრებს რაიონის კოლმეურნეობებში, ეხმარება ხოფლის ფიზკულტურულ ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობის გასაშუალებლად. აკტივიზმში შემავალი მოთხილამურების და მოციგურების კოლმეურნე ფიზკულტურულთან აკტივიზმს ხარვეზებელ მეცადინეობებს წამოიხრის სპორტის სახეობაში. წამოიხრის და გაზაფხულის განმავლობაში აკტივიზმი წამოიხრის რაიონის ყველა 29 კოლმეურნეობას.

პოლტავის ოლქის შიშკაცის რაიონის შიშკაცი რაიონი ფიზკულტურული კოლმეურნეობის განვითარების სპორტსმენების, განსაკუთრებით თხილამურების დიდ ხშირებს, რაც ხელს უშლის მათ წამოიხრის ნორმების ნორმალურ ჩაბარებას. თუ რა წინააღმდეგობა იქნა მიღებული ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, გვიამბობს თავის წერილში ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კორნილინი. რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო სამი მოძრაობის სათხილამურო ხაზი, რომლებიც ამარაგებენ ხოფლის კოლმეურნეობებს თხილამურებით მშობნობის ჩაბარების პერიოდში. ამ წამოწყებაში კარგი შედეგი გამოიღო, რაიონმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მშობნობის ნიშნებისა და მოთხილამურე თანრიგის მონაწილეების საქმეში.

დნეპროპეტროვსკის ფიზკულტურის ტექნიკუმის მძღვანელთა შორის მტკიცედ დამკვიდრდა წამოიხრის დიდი ქვეშევრდები. მაგრამ ამინდი მუდამ არ იძლევა ამის საშუალებას. ამისათვის, ტექნიკუმის მძღვანელებმა გადაწყვიტეს დახურული დარბაზის გამოყენება: მათ ხაკუთარი ძაღლებით დარბაზში მოაწყვეს 20 მეტრის სიგრძის ნორმალური, წინააღმდეგობის ხარბების მილინი და ხახტომი ორმო. მძღვანელთა ნათესავების შემდეგ ხარბების მილინი და ორმო იხურება დასაშვებელი იატაკით და დარბაზი ჩვეულებრივ სახეს ღებულობს, იქ წვრთნას განაგრძობენ ტანმშრომლები ფრენბურთელები და სხვ.

გვერდში მოთავსებულია აგრეთვე მატარა ინფორმაციები, რომლებიც მოგვითხრობენ უმაღლესი სასწავლებლების, სკოლების, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების სპორტული მუშაობის მისაზამ მავალითებზე.

რესპუბლიკის ჩემპიონები

საქართველოს 1952 წლის ჩემპიონები სათხილამურო სპორტში. მარცხნიდან მარჯვნივ პირველი რიგში: ვ. დიკონაშვილი („დინამო“), ქ. ბანდური („ისკრა“), ჯ. ყოროშვილი (უნივერსიტეტი), თ. დიკონაშვილი („კოლმეურნე“), მეორე რიგში — პ. კოზანაშვილი („ისკრა“), ა. ადამიანი („ისკრა“), ს. პეტროხიანი („ისკრა“), ვ. დმიტრიევი (ახალქალაქი), კ. წაქაძე (ბაკურციხე).



ჩავსოვთ თუ არა ჩვენს უჩაღრება განვარჯიშვს?

წერილი სტალინიდან

სამხრეთ ოსეთში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული სპორტული ტანვარჯიშის განვითარების დარგში. თუ 3-4 წლის წინათ ოლქში ოშვითად შეხვედბოდიტ მეორეთანრიგისან ტანვარჯიშის, ამჟამად სამხრეთ ოსეთს 3-4-ზე მეტი მეორეთანრიგისანი და 10-მდე პირველთანრიგისანი ტანვარჯიშე. განსაკუთრებით მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში იქ მოხდა 7 პირველთანრიგისანი ტანვარჯიშე ქალი.

სტალინიდან სპორტის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტალინის მოზარდთა სპორტული სკოლა. ამჟამად, იქ მეცადინეობს ტანვარჯიშის 10 გუნდი, რომლებშიც გაერთიანებულია 200-მდე ნორჩი სპორტსმენი. ნორჩ ტანვარჯიშეებს ამეცადინებენ კვალიფიციური სპეციალისტები ე. დბარი, ა. ბერიძე და ვ. მისაილოვი. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს გოგონათა ჯგუფების მწვერული დბარი. მან ერთი წლის განმავლობაში მესამეთანრიგისანები თ. ქოქოვა, ა. კასრძე, ლ. მისაილოვი და სხვები პირველ თანრიგზე მოამზადა. დბარის კარგ მუშაობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ 1951 წლის მოსწავლეთა სპორტული სტალინის ტანვარჯიშე გოგონათა გუნდმა მე-2 ადგილი დაიკავა.

მაგრამ სპორტის ამ სახის განვითარებაზე მხოლოდ ქალაქის სპორტსკოლაში ზრუნავენ. სამწუხაროდ, ტანვარჯიშის დარგში ძალზე უმნიშვნელო მუშაობას ეწევიან ფიზკულტურის რაიონული კომიტეტები.

ოლქის რაიონებში მუშაობს სპორტის ამ სახეში მთლიანად ჩაშლილია. ამხუ ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ რაიონებში არც ერთი სატანვარჯიშო სექცია არ მუშაობს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ როგორც საქალაქო, ისე საოლქო შეჯიბრებებში მონაწილეობენ სტალინის გრთილიაგევე ტანვარჯიშეები. სრულ უმოქმედობას იჩენს ამ მხრივ ფიზკულტურის სტალინის საქალაქო კომიტეტი. სტალინის არც მუშაობს მოზარდთა არც ერთი სექცია, რის შედეგად მოსწავლე ტანვარჯიშეები, რომელთაც 19 წელი უსრულდებათ, იძულებული არიან მიატოვონ ტანვარჯიში, რადგან სპორტსკოლაში მათ აღარ ავარჯიშებენ, როგორც სასკოლო ასაკდასრულებს. ასე ჩამოშორდნენ ტანვარჯიშს მეორეთანრიგისანები ზ. ქელესაგვა და ც. სომხივა, პირველთანრიგისანი ზ. ვასიევა და სხვ. ი. ცხოვრებოვი კი, რომელმაც გასულ წელს სასკოლო ასაკის გადაცილების გამო ტანვარჯიშს თავი დაანება, ძალსანთა სექციაში ვარჯიშობს.

ცხადია, საქმისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულებით სტალინის ტანვარჯიშის განვითარების მხრივ ვერ მიაღწევენ კარგ შედეგებს. ტანვარჯიშისადმი ასევე უყურადღებობას იჩენენ „დინამოს“, „კოლმეურნის“, „ისკრის“, „სპარტაკის“ სპორტსაზოგადოებათა საოლქო და რაიონული საბჭოები.

სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობას უყვარს ტანვარჯიში, მაგრამ ოლქის ფიზკულტურული ორგანიზაციების უღარდებლობის გამო მას არა აქვს საშუალება იმეცადინოს სპორტის ამ სახეში.

საჭიროა ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების დროული აღმოფხვრა. ქალაქში უნდა ამოქმედდეს მოზარდთა თუნდ ერთი სექცია, რომელშიც სტალინიერ სპორტსმენებს სისტემატური წვრთნისა და სპორტული ოსტატობის ამაღლების საშუალება ექნებათ.

დროა, ფიზკულტურის საოლქო კომიტეტმა მიიღოს გადაწყვეტილი ზომები რაიონებში, პირველ რიგში, ოლქის ცენტრში, ტანვარჯიშის სექციების ჩამოსაყალიბებლად, სპორტის ამ სახის რაც შეიძლება ფართოდ და წერგვისა და განვითარებისათვის.

ნ. ჯალიშვილი (ჩვენი კორ.).

საჭიროა ნაკლოვანებათა გამოსწორება

ბათუმი. (ჩვენი საქ. კორ.) შედგა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ისკრის“ IV საოლქო კონფერენცია.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა „ისკრის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ფ. სლუდენკოს საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ზ. ჩიხლაძის მოხსენება.

„ისკრის“ საოლქო საბჭომ საანგარიშო პერიოდში, — თქვა ამხ. სლუდენკომ, — წარმატებით შეასრულა ფიზკულტურის განვითარების გეგმები და უზრუნველყო ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის ამაღლება. „ისკრის“ წევრთა რიცხვი 1948 წლის შემდეგ 771 ფიზკულტურელთა გაიზარდა; დამატებით შეიქმნა ფიზკულტურის 10 ძირეული კოლმეტივი; ორგანიზაციას შეემატა 1.899 მშობნობისანი და 471 თანრიგისანი სპორტსმენი; სხვადასხვა სახის ფიზკულტურულ შეჯიბრებებში მონაწილეობა საერთო რიცხვმა 4.537-ს მიაღწია.

მაგრამ „ისკრის“ საოლქო საბჭოს თავის მუშაობაში ვერ კიდევ ახასი-

„ისკრის“ საოლქო კონფერენციაზე

ათებს სერიოზული ნაკლოვანებები. დღემდე არ არის მიღწეული ძირეული ფიზკულტურული კოლმეტივების ორგანიზაციული განმტკიცება, შესრულებულია საწევრო ანარიტების აკრების საკონტროლო დავალება, არ არის უზრუნველყოფილი საოლქო შეჯიბრების ჩატარება სპორტის ცალკეულ სახეებში.

მოხსენების ვარშემო გამართულ კამათში გამოვიდა სტამბალიტორაფიის ძირეული კოლმეტივის თავმჯდომარე ამხ. ო. კარმაგდესიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ კოლმეტეში დაბალ დონეზე დგას სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელაბითი მუშაობა; ზოგჯერ უმიზნოდ იშლება სპორტული სექციების მეცადინეობა და სხვ.

„ისკრის“ საოლქო საბჭოს პრეზიდიუმში, — განაცხადა კომკავშირის საოლქო კომიტეტის სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილების გამ-

გე? ამხ. ფ. მახარაძემ, — თავის სხდომებზე იშვიათად იხილავდა ძირეული კოლმეტივების მუშაობის საკითხებს. დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ საბჭოს ერთხელაც არ ჩაუტარებია საოლქო პირველობა სპორტის რომელიმე სახეში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ფართოვ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფკომის თავმჯდომარე ლ. რიყვაძემ, პედსასწავლებლის ფიზკულტურის მასწავლებელმა შ. კიკაჩიშვილმა, პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელმა ნ. ისტლინიშმა, საქართველოს სსრ დაწესებულებით და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგემ ო. ჩიქვილაძემ და სხვ.

კონფერენციამ „ისკრის“ აჭარის საოლქო საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა, დამატეცა სარევიზიო კომისიის ანგარიში და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

3. სახმჩიძე

ჩვენს გვერდზე უჩაღრებო მიგოვებენი

ამბეტის რაიონის სოფ. დუისოს ახალგაზრდა კოლმეურნეებს აინტერესებთ ფიზკულტურა და სპორტი, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ო. მარგალიტი სპორტისადმი გულგრილად არის დამოკიდებული და ამიტომაც ახალგაზრდობას ამ საქმეში არავითარ თანაგრძობას არ უწყევს.

სოფელში არ არის არც ერთი სახის სპორტული მოედანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საჭილარს ბიბლიას, რომელიც ისეთ საცოლო მდგომარეობაშია, რომ მასზე შეუძლებელია ნორმალური წვრთნის ან შეჯიბრების მოწყობა.

კოლმეურნე ახალგაზრდებს არც სპორტული ინვენტარი გააჩნიათ.

ლ. ჩხუთიაშვილი

ამბეტის რაიონი.

არ ზრუნავს

სახეების რაიონის სოფ. ჩიხის ელანოვის სახელობის კოლმეურნეობაში სპორტული ბაზების უქონლობის გამო ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა ჩაშლილია.

სოფელში არის ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების მოწყობის საშუალება, მაგრამ ამ ამისათვის არაფერ არ ზრუნავს.

ბ. ცაზიშვილი

სახეების რაიონი.

მოკლე ცნობები

მასხარაძის რაიონი. ნატანების საშუალო სკოლაში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტი. სკოლაში ჩამოყალიბებულია ფრენბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობისა და შაშის ხეცეტივები. სკოლის კოლმეტივმა მოიპოვა 1952 წლის ჩემპიონის წოდება ფრენბურთში რაიონის საშუალო სკოლების გუნდებს შორის.

ბ. გოგოტიშვილი

ჯაბა. ჩატარდა რაიონის პიონერთა შეჯიბრება თხილამურებით რბენაში ვახუთა „პიონერსკია პრადას“ სახელობის ჯილილოზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის 4 სკოლის 80-მა პიონერმა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ჯაგის საშუალო სკოლის გუნდმა.

გ. ნაღაძე

ბაბაშა. დამთავრდა რაიონის პირველობის გათამაშება ფრენბურთში ვახუთა შორის. ასპარეზობაში გაიმარჯვა აბაშის სპორტული სკოლის გუნდმა.

ბ. გუზაძე



საქართველოს XIII ჩემპიონატი

ყოველი ტურნირი მოკლადრეკეთა და მღელვარებას იწვევს. დღევანდელ რბაზე მსხდომი მაყურებლებიც და ისინიც, რომლებიც ბრძოლის მკვლევარებს გაზეუბებით ადევნებენ...

ში, მან მხედრის შეწირვით კომბინაციური იერიში მიიტანა მეტოქის მეფეზე. თბილისის ჩემპიონმა მხოლოდ დიდი მოთმინებითა და წინდახედულობით მოახერხა კომბინაციის მცდელობა...

ასპარეზობის დაწყების წინ, ჩვეულებრივად, ყველა მოკლადრეკე შევერდებოდა გუნდებს, მაგრამ პირველი ტურის შემდეგ ბევრს უფუძვლავა ხალხით. ძნელია აღწერო მოკლადრეკის სიძლიერე...

მწვევე შეჯიბრება გაიმართა შიშვეფირცხალავის შეხვედრაში. სიცილიური პარტიაში ცენტრალური უჯრედებისათვის გაჩაღდა ბრძოლა; ფირცხალავამ შეძლო ცენტრში მხედრის გამაგრება, მაგრამ შიშვეფი, რომელსაც ორი კუს უპირატესობა ჰქონდა...

23 თებერვალს შედგა III ტური. სოროკინის ძალიან სურდა წინა დღით წაგებული პარტიის შემდგომი გამარჯვება, მაგრამ ერთხანს იგი უარს მოკმადა...

არანაკლები სიმწვევით ხასიათდებოდა გურგენიძის შეხვედრა გაჩეჩილაძესთან. ფრანგულ დაცვაში გურგენიძემ (შავებით) საინტერესო გაგრძელება აიწმია და შეძლო პარტიის გათანაბრება...

გამრეკელი-ტიმოფევის შეხვედრაში ორივე შეუბოჯრად იბრძოდა მეტოქის სუსტი პუნქტების დაცვაში. გამრეკელის კურთხვას ჩაუტყობილი აღმოჩნდა, მაგრამ ტიმოფევი შეცდა და განთავისუფლებული ტურ შეიჭრა...

24 თებერვალს შედგა გადაღებული პარტიების დამთავრება. თამაშის განუახლებლად წარსულში დასრულდა გურგენიძის, ხოლო კაკიაშვილი — არნსტეინის იშვიათი სიმტკიცით, ლამაზი ეტაპული სვლებით წარსულში შეიღმა ყაიმის მიღწევა ბლაგივიძესთან...


ჩირაძე თეორიის საკმაოდ კარგოდ იხერხ. ბუსლავეთან პარტიაში მან დებიუტი „ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით“ გაითამაშა; ფრთხილად აუარა გვერდი სამიწროებს და სიმძლე პოზიცია მიიღო. შემდგომ...

ყოველი დამთავრდა არნსტეინ-ტიმოფევისა და ჩირაძე-გამრეკელის პარტიები. ქარსელადი-ელიოზიშვილის პარტია კვლავ გადაიდო.



თ. გიორგაძე, ოსტატობის კანდიდატი.

სენდელი მოხდენილად გამოხატა თოკების ქვემოდან და თავის კუთხეში სკამზე ჩამოჯდა. დარბაზი აღტაცებით უკრავდა ტაშს და მოწონებით გუგუნიდა. ტომ კინგი ცნობისმოყვარეობით ათვალთვლებდა მოწინააღმდეგეს...



ლაღ შეებმოდნენ ერთმანეთს, ერთი და მეორეც მთელი ძალ-ღონით ეცდებოდა უგაჩინებლად დევლო მეტოქე. ტომმა სასურველი ვარჯიერი შეინიშნა. სენდელსაც მასავე სთვლიდა და შარავლი ეცვა საჯარჯილი ფორმის ზემოდან. სახეს და კისერს-და დააკვირა: ლამაზ, ვაჟკაციური პირისახეზე ოქროსფერი კულულები ჩამოჰყარდა, მაგრამ კუნთებანი კისერი კი სხეულის სრულყოფანს მოწონებდა.

მარჯვე იყო სენდელი. სხარტად მოძრაობდა, დარბაზს თვალს ჰქრიდა სისწრაფითა და მოხდენილი მოძრაობით, ბრბოტ მოწონებით ღრიალებდა; მხოლოდ ტომ კინგს არ აბნევდა მეტოქის სისწრაფე. გამოცდილს მრავალი ბრძოლა გადაეხადა, ბევრ კაბუტს შეებმოდა. იცნობდა ფანდებს, რომელთაც მეტისმეტი სისწრაფე და სილომაზე უფლებებს ხდიდა. ეპეგარეზე იყო, სენდელს ერთი დაკვირით უყვარდა საქმის მოთავეება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ახალგაზრდობას ასე ჩვევია: გამძვინვარებულ ბობოქრობას და სხვის დამსხვრევას ალვის ძალ-ღონეს, მეტოქეს ნთქავს ძალისა და სურვილის სიდიადით, გზიდან იშორებს.

კამუტი პრონტო ჯერ ერთ კუთხესთან მივიდა, შემდეგ მეორესთან, მონაწილეებს ხელი ჩამოართვა და რინგიდან ძარს გადასტა. გამოწვევები გრძელდებოდა.

სენდელი ელვის სისწრაფით მოძრაობდა: ხან მიუახლოვდებოდა, ხან განწე-განტებოდა, ხან მარჯვენა, ხან მარცხენა. თვალის დახამხამებაში ხან აქ იყო, ხან იქ. მკერდი, მოხტუნავე კუნთები გაორკეცებული ძალით აგმუშავებინა მეტოქის წინააღმდეგ, რომელიც მასსა და ბედნიერებას შუა ჩამდგარიყო.

ყოველთვის ასე იყო: შეუწყვეტელ ნაკადი ამოდიოდა ახალგაზრდობა ამალღებულ რინგზე, დაუცხრომელი და უცნობი ახალგაზრდობა, თავაწეული გასასახლდა ქვეყნიერებას ძალითა და მოხერხებითაც მე მეკუთვნის გამარჯვებო...

წინდახედული ტომ კინგი მშვილად იცავდა თავს. მისთვის ყველაფერი იცავდა თავს. მისთვის ყველაფერი იცავდა თავს. მისთვის ყველაფერი იცავდა თავს.

რამდენიმე წლის წინათ, როცა ძალია ეჩროდა ტომ კინგს, ეს წინასამზადისი მოსამზერებელ გასართობად მოეჩვენებოდა, ახლა კი მოჯადოებულობით ერთ ადგილს დაჰკროდა, სიჭაბუქეს აჩრდილი თვლიდან ვერ მოეშორებინა.



რასამაიდან ასე იყო: ხალხისიანდ ხტებოდა რინგზე ახალგაზრდობა და აზმოდა მეტოქეს; დასაბამიდან ხნიერები ეცემოდნენ მათთან ბრძოლაში. მათი სხეულებს გადავლით მიდიოდა სკამებზე გამარჯვებისაკენ. დაუშრეტელ ნაკადი მოედინებოდა ახალგაზრდობა, დაუღალავი, დაუდევარი, აზოდან ყოველთვის იშორებდა ხანში შესულთ და თვითონაც ხანში შესული იმავე გზებით მიეჭანებოდა დაღუბისაკენ. მათ შემდეგ კი კვლავ ნორაუცვლელი ახალგაზრდობა იღვავდებოდა და თავნება ყრმობა, მეულის დამზობი და ახლის ბაიარტარი, მათ შემდეგ კიდევ ნორჩი ყრმობა და სიჭაბუქე, და ასე იყო დასასრულადღე — უძლეველია სიახლის და მომავლის ნება, უკვდავია ახალგაზრდობა.

ნაცნობი იყო: ახალგაზრდობის ძალასაც ახლა გრძობდა ყველაზე უკეთ, ახლა, როცა თვითონ აღარ იყო ახალგაზრდა. ჯერჯერობით მოქმედების დაწყება ადრე იყო, კინგი მეტოქის დაღლას უცდიდა. მაგრამ შეიძლებოდა რამდენიმე დანდის ხმარება: უეცრად, ვითომ მოწინააღმდეგის დარტყმას იცდენა, თავი ვანებდ დახარა. კრივის წესის თანახმად — ეს ხერხი მეტად სუსტ, მაგრამ მიზანშეწონილ ხერხად ითვლება. მოწინააღმდეგეს თვითონ უნდა ეხრუნა თავისი სახსრების დაცვაზე და ხელსაყრელი მომენტით არ მოხიბლულიყო; თუ კი ციდა მეტოქისათვის თავში დაეჭყა, ეს თავისავე საზიანოდ დამთავრდებოდა. კინგს უფრო დაბლა შეეძლო თავის დახარა და მოზუხუნე მუშტების უფლებად აცილებდა. განგებ შეუშრიდა თავი მოქნილ მუშტებს. კარგად ახსოვდა ტომს, როგორ დაიმტკიცა პირველად თითები „უელსის შიშის ჩარის“ თავზე. კინგი ხომ თავის როლს ასრულებდა; ეს ბოროტებაც რინგზე მისატყვებელ ცოდნად ითვლებოდა. სენდელს კი ეს დარტყმა ერთ თითად დაუჯდა. ახლა კი ჩვეული სიძლიერით განაგრძობს ბრძოლას სენდელი, არად ავდებს თითების ტკივილს, მაგრამ ვიან, როცა წარსულს გახედავს, სინაწულით მოაგონდება, რომ თითები პირველად ტომ კინგის თავს შეაღწეა.


კინგი მიხვდა, რომ ამ კამუტს ჯერ არ გასცვივოდა სხეული ხანგრძლივ ბრძოლებში, მტკივან ფორებიდან სიჯანსაღე არ დაეღვარა, არ ეგრძნო ბრძოლა, რომელშიაც სიჭაბუქე თავის მინდს ტოვებს, რომელსაც გამარჯვებით, მაგრამ დანაკარგით ამაჯავრებს.

პირველი რაუნდი მთლიანად სენდელს ეკუთვნოდა. გრივალისებური დარტყმების სისწრაფით აღტაცებული ბრბო შეუწყვეტლად ღრიალებდა. სენდელმა გააბრუა მეტოქე მუშტების სეტყვით. კინგი უმოძრაოდ იდგა, არც ერთხელ არ გაურტყამს, თავს იცავდა მხოლოდ: ყრუ დაკვას ხმარობდა, იხრებოდა, იხნიებოდა, თავს დაბლა ხრდა, ხელსივრთვას იყენებდა. ოღონდ დარტყმები აეცდინა. დროდადრო თავი ჩამოუჭრებოდა ხოლმე მძიმე დარტყმების-

გან, მოდუნებული მტკიცება და მოძრაობა, მაგრამ არაფერს უძლებს. მეტ მოძრაობებს უფრო თხოდა, თბილისის ოცნება მალასაც არ ხარჯავდა. სენდელის ახალგაზრდული ალტყინება უნდა დამცხარალიყო, მხოლოდ მამინ შეეძლო ფრთხილ და გონიერ ხნოვანს სამაგიერო მიეზლო.

კინგი მიიმედ მოძრაობდა, ყოველი ნაბიჯი წინასწარ მოფიქრებული ჰქონდა, ყოველი მოძრაობა აწინილ-ღწონილი. მიიმედ დაბრილ ქუთუთოებს ქვემოთ თითქმის უმოძრაო თვლებით იგი ნახევრად მივლემარ, გაბრუებულ ნადირსა ჰგავდა, თუმც ამ თვლებით იყო რომ ყველაფერს ამჩნევდა. ოც წელზე მეტხანს იბრძოდა ტომ კინგი რინგზე, თვლი გაეწეა და მოწინააღმდეგის უმნიშვნელო მოძრაობაც შეუმჩნეველი არა ჩრეზობდა. გაცეცხლებული დარტყმების დროსაც კი თვალს არ ახამამებდა, ცივად ზომავდა მანძილს და დინჯად იცდენდა მუშტების სეტყვას.

რაუნდის დასასრულს კინგი თავის კუთხეში ჩამოჯდა სკამზე, უკან გადაწეა, ფეხები გამოტია და ხელემა თოკზე დაწყო. სეკუნდანტები პირსახოკით აგრილებდნენ. ხარბად ყლაპავდა ტომ კინგი მობერილი ჰაერს მძიმედ სუნთქვისაგან განიერი მკერდი ასლი-ჩასლიდა. თვლი მიეღულა და გაბრუებულა, ბრბოს ორბალს უსმენდა. „რას გაჩერებულარ, რატომ არ ურტყამ, ტომ?“ ჩასძახოდნენ აქეთ-იქიდან. „რისი გეშინია,



ნანატი გ. ჯაფარიძისა

დასცე, დასცე. „უკუნებდაბრკილია, — უბასუხა ვილაქან პირველი რივიდან, — ახა სწრაფად როგორია იმობრავებს. სანაძლოდ ორწილსა ვდებ ერთის წინააღმდეგ, კინგი წააგებს!“. გონგა დაჰკრეს. ორივე კუთხეს მოშორდა. ბრძოლის წყურვილით გახელებულმა სენდელმა სამი მეოთხედი გამოიარა, კინგი მეტივე მანძილით დაქმყოფილა. საყუთარა თეორიით ეს მარჯვე ფანდი იყო, მის ხელ წინასწარ არ უვარჯიშნია, არც კი დაწყებულა წამოსვლისას, ამიტომაც იყო, რომ თვითულ ნაბიჯს წინასწარ ზომავდა ესეც არ იყო, მან ხომ ორი მილე გამოიარა ფიხით.

მეორე რაუნდი პირველსა ჰგავდა: სენდელი კვლავ გრივალისებურად უტევდა. აღწვთებულ მაყურებელს კვლავ შემახილებით იკლებდა დარბაზს — კინგს ბრძოლას უკუიხებდა. კინგი კი მხოლოდ მუშტებს იცდენდა, იღუნებოდა, თავს ხრდა, დროდადრო ჩვეულ ხრეებს მიმართავდა, ხანდახან სუსტ დარტყმებსაც იმეტებდა, უშედეგო და უმოზონ დარტყმებს. სენდელმა სიჩქარის მომატება სცადა, კინგი არ აპყვა. დროდადრო ირონიული ლიმილე თითქოს სიციხლის ნიშნუყალს ჰქონდა ბრძოლაში დასახიჩრებულ სახეს. მინც წინანდებურად სიღნიჯით განაგრძობდა თავდაცვას, მოხუცთა ჩვეული თავგამოდებით უფრთხილდებოდა საკუთარ ძალას.

სენდელი კი ახალგაზრდული გულუბნობით ფანტავდა ძალ-ღონეს, ხელოვნებით მას მეტოქე ჯობდა. ტომ კინგი მრავალი წლის ცხარე ბრძოლებში მიღებული გამოცდილებით ხელმძღვანელობდა ნელი და დინჯი, იგი ცივად ადევნებდა თვალს მოწინააღმდეგის ყოველ მოძრაობას, სენდელის დაღლას უცდიდა. თარგმანი ინგლისურიდან ლამარა გოქარაძისი (გვარტყლება იქნება)

ოკეანაპირით ჩვენს ქვეყანაში



უკრაინის ხამხრეთ ნაწილში ღვახ თბილი, მზიანი ამინდი. ოდნისის მძლეონები სასწავლო-საწვრთნელ ვარჯიშს ღია ცის ქვეშ. სპორტულ მოედნებსა და ხტადიონებზე აწარმოებენ. სპორტში (მარცხნივ): „სპარტაკის“ სპორტმენები ვარჯიშის დროს.

ფოტო ა. ფატევიხა. (საქდესი).




უფაში გაიმართა „პიშჩევიკის“ მოთხილამურეთა საკავშირო პირველობა. ქალთა რბენაში 10 კილომეტრზე, შედეგით 40:12, გაიმარჯვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ზ. ბოლოტოვამ, ხოლო ვაჟთა რბენაში 50 კილომეტრზე — სპორტის ოსტატმა ნ. შაბაროვმა. მისი დროა 8:28:42. სპორტში: ზ. ბოლოტოვა და ნ. შაბაროვი.

ფოტო ლ. ია.უბოვისა. (საქდესი).

გვარტყლება. იხ. გაზეთი „ლელო“ № 15, 16.

მ უ ხ ლ ა მ დ ე ტ ა დ ა ხ შ ი...



თბილისის „სპარტაკის“ საცხენოსნო სპორტული სკოლა, რომელიც თითქმის 15 წელია არსებობს, ერთდროულად საქართველოში, აქ თავმოყრილი არიან რესპუბლიკის საუკეთესო ცხენოსნები, აქ არის კლასიკურ სახეობაში გამოწვრთნილი ცხენები, ასე, რომ ამ ბაზაზე უნდა გაიშალოს ძირითადი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებებისათვის მოსამზადებლად.

„სპარტაკის“ საცხენოსნო სკოლა იმყოფება დელისის იპოდრომის მახლობლად მთის ძირში, შემოღობილია მაღალი, კაპიტალური კედლით და უკრაინის საქონლო ღირსი ფართობი. აქ მოთავსებულია საჯინობოები, საწყობები, საკლასო ოთახები, საბარჯიშო მანეჟი და სხვ.



შედგამთ თუ არა ფეხს სკოლის ტერიტორიაზე, განცვიფრებაში მოხვალთ. ირგვლივ უთავბოლოდ ყრია შობაბუდეების, „ქვის კედლების“, ორბელების, ბიკამიდების, ლობების, „ბარაკები“ (იხ. ზევით მარცხენა სურათი). განმარტოებით დგას ფიცრული ტრიბუნა, რომელიც მკვერთმეტყველურად დალაგებს აქაურ უწყისობაზე (იხ. ზევით მარჯვენა სურათი).

სპარტაკელთა სკოლაში მხოლოდ თეორიული მეცადინეობა შესაძლებელია. მანევრე პრაქტიკული მეცადინეობის წარმოება ყოველად შეუძლებელია — იქ მუხლამდე ტალახია და წყლის გუბები დგას.

საკმარისია ერთხელ იწვივოს, რომ მთის ფერდობებიდან მოვარდნილი ნაკადულები შეუერთდეს ადგილობრივ „ზღვას“ და „სპარტაკის“ საცხენოსნო სკოლის მანეჟი წყალგომარადობის სადგურს უფრო ჰგავს, ვიდრე მანეჟს.

თიხიან ნიადაგზე დაგუბებული წყალი კვირაობით და თვეობით ფარავს სამეცადინო ადგილს. ნაგებობებამდისაც კი აღწევს. ხშირად ისეთი ტალახი დგება, რომ თოვა მანქანით ვერ შემოაქვთ და მეჯინბეები, სახელდახველოდ დაგუბებულ ფიცრებზე, ხელით ზიდავენ მას. საერთოდ, წლის მეტ დროს ეს ფიცრე-

სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საზაბორო მანეჟი. „სპარტაკში“ ბევრია ცხენოსანი, რომელიც გეგმიანი, სისტემატური ვარჯიშის შედეგად კარგი მაჩვენებლების მოპოვებას შეძლებს. საჯინობოებში დგანან ახლად შეძენილი, ჩინებული ცხენები; მათ შორის არიან საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი.

„სპარტაკის“ საცხენოსნო სექციას აქვს დამწყება განყოფილება. სპორტის ამ მიზნადიველ სახეში მეცადინეობის მოსურნეები რიცხვი დიდია. მათ კარგაზნანს უკეთებენ თეორიულ ნაწილს, რის შემდეგ გადადიან პრაქტიკულ წვრთნაზე. ეს მიხლოებით ასე ტარდება: მინდორში ინსტრუქტორს გაჰყავს სასწავლო ცხენი, რომელსაც დამწყებთა მთელი ჯგუფი (საშუალოდ, 10-12 კაცი) მისდევს უკან.

ვინაიდან ტრიბუნა მინდორში სხვა ცხენზე ახალბედა სპორტსმენის შესმა ძალსახიფათოა, ამიტომ დამწყებნი მორიგებით ჯდებათ ცხენზე, სწავლობენ ერთ-ორ ილიის და „გავარჯიშებულნი“ ბაზაში ბრუნდებიან.

მწვრთნელები იძულებული არიან ასე ჩაატარონ „წვრთნა“, რადგან სკოლის მანეჟზე მუხლამდე ტალახში ნორმალური მეცადინეობა ყოველად შეუძლებელია.

რასაკვირველია, ასეთი ვარჯიშები ვერ მიზნადვენ დამწყებთ და ისინი რამდენიმე ვაკვეთლის შემდეგ თავს ანებებენ სექციას.

„სპარტაკის“ საცხენოსნო სპორტულ სკოლას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. სპორტსაზოგადოების წევრებს ყოველგვარი მონაცემები დაიკვან რესპუბლიკის სპორტული ღირსება საკავშირო შეჯიბრებებში. ამისათვის საჭიროა შეექმნათ მათ ნორმალური, სრულყოფილი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ელემენტარული პირობები.

ბ. მორკია

დახვის წრეში...

გულს მიკლავს მისი ზრიალი

(მკითხველ შ. ძნელაძის წერილის მიხედვით)

კვირა დილით სოფ. კონხარში ერთ-ერთი ეზოს ტიშკართან ერთმანეთს შეხვდა ორი ახალგაზრდა კოლმეურნი.

— სად მიხვალ, ძამი? — კითხულობს პირველი.

— ლეღში ღორჯოების დასაქურად, — უპასუხებს მეორე.

— ლეღში? სხვა საქმე ვერაფერი ნახე?

— გეხუმრები, რა მელორჯობა. მეზობლებში გავიარ-გამოვიარ. აბა, სად წაიდე. სპორტული მოედანი რომ გვექონდეს, კაცი ვერ მიმასწრებდა იქ მისვლას, ბურთს ვითამაშებდით ან სხვა სპორტულ შეჯიბრებას გავმართავდით, მაგრამ რა...

— კაი საქმე რომ არის, ამისათვის მოფიქრებაა საჭირო, — ირონით უპასუხა მეორემ. მოედანი არ არსებობს, მაგრამ მშტ ნორმების ჩასაბარებლად მაინც ვეზადებ: ბრენას შარავზზე ვსწავლობ, სახტუნაოდ ღობეს ვიყენებ, ბურთად კი... ყველაფერს ხომ ვერ გასწავლი, ზოგიც შენ მიხვდი...

სოფ. კონხარის კოლმეურნეობაში საცხენოთი ჩაშლილია ფიჭულტურულ-სპორტული მუშაობა. ეს საერთო კომკავშირული ორგანიზაციის კრებამ განიხილა და მხურვალე დადგენილება გამოიტანა, მაგრამ მხურვალე დადგენილება კოლმეურნეობის გამგეობამ გულ-

სპეციალისტობის უსასხაგ...

(მკითხველ ნ. ბერიძის წერილის მიხედვით)

ერთი შეხვედრით თითქოს ყველაფერი რიგზეა: სპორტული სექციების სუფთად და ლამაზად გაფორმებული სამუშაო გეგმები, მეცადინეობის ცხრილები და გრაფიკები, სექციის წევრთა სიები... ყოველივე ეს ნაყოფიერი სპორტული მუშაობის შთაბეჭდილებას ტოვებს...

გორის რაიონის სოფელ დიციის 8-წლიანი სკოლის ფიჭულტურულ კოლექტივში — 176 ჰაბუჯი და გოგონაა გაერთიანებული. ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, კლდრაკის, ქართული კლდობის, ტანვარჯიშის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ველოსპორტის სექციაც კი, რომელშიც გაერთიანებულია... 1 მსწავლე.

ვთქვათ, ყველა ზემოხსენებული სექცია ბუნებაში ნამდვილად არსებობს. სინტერესოა ერთი რამ: როგორ მუშაობს ველოსპორტის „მრავალრიცხოვანი“ სექცია? ვინ ავარჯიშებს სექციაში „ობლად“ დატოვებულ სპორტსმენს? ამაზე პასუხის გაცემა „შეუქ-

ლო“ სკოლის ფიჭულტურის მასწავლებელს მ. მარკოზაშვილს, საუბედუროდ, მისი პასუხი ყოველგვარ დამაჯერებლობასა მოკლებული, რადგან ყველაზე კარგად თვით მარკოზაშვილმა იცის, რომ დიციის 8-წლიანი სკოლაში სინამდვილეში არც ერთი სექცია არ არსებობს, და რახან არ არსებობს, ცხადია, ვერც იმუშავებს...

„სექციების“ ფორმალური ჩამოყალიბებით ვართულება მარკოზაშვილმა ვერ შეასრულა იმში და მში ნიშნისნების მომზადების გეგმა. ამისათვის მან სამართლიანი საყვედური მიიღო გორის ფიჭულტურის რაიონული კომიტეტიდან.

— მე საგნის სპეციალისტი არა ვარ (?!) და სწორედ ამიტომ ვერ შევასრულე გეგმა, — თავი გომართლა „გულდაწყვეტილმა“ მარკოზაშვილმა.

განა იმის ცოდნა, რომ ყალბი საბუნების შედგენა არ შეიძლება, საგნის სპეციალისტობა უნდა, ამხანავო მ. მარკოზაშვილი?

ბ. არასრია

საქართველოს თბილისის სახელმწიფო ცირკში მოეწყო ცირკის ახალგაზრდა მსახიობთა საკავშირო დათვალეობის I ტური, რომელშიც მკაცრებულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

პროგრამიდან პრიორიტეტში წარმოდგენილი იყო რამდენიმე სპორტული ნომერი. მეტად საინტერესო იყო აკრობატ-მონსტრუნიკა ჯგუფის (ხელმძღვანელი ი. ფედოსოვი) გამოსვლა. მონაწილენი ნ. კურსაკინა, ზ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ტელეფონი 8-90-84.

გაეაფთა. კლირთა და მოქნილთა ხალოვნება

საეცხო ხელოვნებას მრავალი რამ აქვს საერთო სპორტთან. ცირკის ბევრი არტისტი სპორტის გზით მიიღობს ამ საინტერესო და რთულ ხელოვნებასთან. როცა ცირკის არენაზე უყურებთ ძალოსანთა ვარჯიშს, ცხენოსანთა ჯირითს, ტანმოვარჯიშეთა გამოვლას ან აკრობატთა მრავალსართულიან პირამიდას, ნათლად რწმუნდებით, რომ შემსრულებელნი, უპირველეს ყოვლისა, მაღალტექნიკური სპორტსმენები უნდა იყვნენ.

23 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო ცირკში მოეწყო ცირკის ახალგაზრდა მსახიობთა საკავშირო დათვალეობის I ტური, რომელშიც მკაცრებულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

პროგრამიდან პრიორიტეტში წარმოდგენილი იყო რამდენიმე სპორტული ნომერი. მეტად საინტერესო იყო აკრობატ-მონსტრუნიკა ჯგუფის (ხელმძღვანელი ი. ფედოსოვი) გამოსვლა. მონაწილენი ნ. კურსაკინა, ზ.

სელვიანოვა, ი. ფედოსოვი და ი. სტეფანოვი თავის ნომრებს ასრულებენ მაღალ ტემპში, დინამურად, ჩინებულად არიან დაუფლებული ყოველ ილეთს.

მოწონება დაიმსახურა საპაერო ტანმოვარჯიშეების — გ. რეზნიკოვის და ი. იონოვას გამოსვლამ. შენობის თაღქვეშ მჭროლავ „საპაერო ყუმბარაზე“ იონოვა თამაშად ასრულებს ძნელ სატანავარჯიშო ელემენტებს.

საინტერესო იყო აგრეთვე ა. და ლ. ბოიკოვების, ნ. აბდულაევის, ვ. პოპოვისა და სხვათა ნომრები.

უნდა აღინიშნოს მოჯირითე ცხენოსანთა ჯგუფის გამოსვლაც (ხ. კანტიმიროვი, მ. კანტიმიროვი, გ. ტოტაევი, მ. ვასანილოვი და ი. მერდენოვი).

პაუზების შემესებს ე. სერედას თავის გამოსვლებში უხვად აქვს სატანავარჯიშო და აკრობატული ნომრები.

3. ხუციბი

გოდანი სკოლაში

თეთრი წყაროს რაიონი. მოსწავლეთა ძალებით სოფელ ჯორჯიაშვილის საშუალო სკოლაში მოეწყო სპორტული მოედანი.

3. დვალი

ავსტრიის ფეხბურთის ლიდერებმა იმოგზაურეს ეგვიპტეში, თურქეთში, პორტუგალიასა და შვეიცარიაში.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა ეგვიპტეში „აუსტრიის“ გუნდს. პირველობის ლიდერმა დაამარცხა ქალექსანდრიის ნაერბი 7:2 და 6:3, კლუბი „ფარუკი“ — 2:0 და „ფარეინ სპორტკლუბი“ — 3:0.

„რაბიდა“ დაამარცხა სტამბოლში კლუბი „სპორტი“ — 5:0, „გალატსარი“ — 6:1, სამაგიეროდ წააგო შეხვედრა „ბეზიკატსან“ — 2:3.

„ადმირამ“ ლისაბონში (პორტუგალია) 30 ათასი მაყურებლის დასწრებით დიდი ანგარიშით გაიმარჯვა კლუბ „ბენეფიკის“ გუნდთან — 8:1 (შესვენებამდე 6:0).

„მეტურმ-გრაკმა“ მოიგო შეხვედრა (3:2) შვეიცარიის გუნდ „ფე ბერნთან“.